

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N1/1-1339

30 / დეკემბერი / 2013 წ.

სახელმწიფოს 50%-ზე (სს-ს შემთხვევაში 75%-ზე) მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში ფინანსური ანგარიშგებისა და პერსპექტიული დაგეგმვის დონის ამაღლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N 391 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ტ.ა“ ქვეპუნქტის და მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ყოველწლიური წინასწარი, საბოლოო, კვარტალური და ნახევარი წლის საბუღალტრო ანგარიშგებების ფინანსური უწყისები, აგრეთვე ბიზნეს-გეგმების პროექტების შესაბამისი გაანგარიშებები სახელმწიფოს 50%-ზე (სს-ს შემთხვევაში 75%-ზე) მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედმა საწარმოებმა (შემდგომში-საწარმოები) სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში-სააგენტო) წარმოადგინონ ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ შემუშავებული „მონაცემთა შეგროვების ფორმის“ შესაბამისად.

2. წინამდებარე ბრძანების ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ანალიტიკურმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს, „მონაცემთა შეგროვების ფორმის“ ელექტრონული ვერსიის საწარმოებამდე დაყვანა.

3. საწარმოების მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნას:

ა) განვლილი წლის წინასწარი ყოველწლიური საბუღალტრო ანგარიშგება, ფინანსური უწყისებით-ყოველი მიმდინარე წლის 31 იანვრამდე;

ბ) განვლილი წლის საბოლოო ყოველწლიური საბუღალტრო ანგარიშგება, აუდიტის მიერ დამოწმებული ფინანსური უწყისებით-

ყოველი მიმდინარე წლის 1 მარტამდე;

გ) ყოველი მიმდინარე წლის I კვარტლის საბუღალტრო ანგარიშგება ფინანსური უწყისებით- ყოველი მიმდინარე წლის 15 აპრილამდე;

დ) ყოველი მიმდინარე წლის II კვარტლისა და 6 თვის საბუღალტრო ანგარიშგება შესაბამისი ფინანსური უწყისებით-ყოველი მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე;

ე) ყოველი მიმდინარე წლის III კვარტლის საბუღალტრო ანგარიშგება შესაბამისი ფინანსური უწყისებით-ყოველი მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე.

2. სავალდებულოდ ჩაითვალოს იმ საწარმოების ყოველწლიური საბუღალტრო ანგარიშგების აუდიტორიული შემოწმება რომელთა ფაქტიური (ან წინასწარი მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული) წლიური შემოსავალი აღემატება 10,000.00 ლარს.

3. ყოველწლიური საბუღალტრო ანგარიშგებების აუდიტორული შემოწმება განხორციელდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

4. სახელმწიფოს კუთვნილი აქციებისა და წილების მართვის საოპერაციო ინსტრუმენტად ბიზნეს-გეგმების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად საწარმოების ბიზნეს-გეგმების პროექტების შემუშავების, სააგენტოში წარმოდგენის, განხილვის, დამტკიცების, კორექტირებისა და მონიტორინგის ვადები და პასუხისმგებელი შემსრულებლები განისაზღვროს დანართი-1-ის მიხედვით.

5. საწარმოებმა:

ა) ბიზნეს-გეგმების პროექტები შეიმუშავონ და სააგენტოში წარმოადგინონ დანართი-2-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ბ) ბიზნეს-გეგმების პროექტების დამტკიცებამდე ყოველთვიური ხარჯები დააფინანსონ არაუმეტეს წინასაგეგმო წლის ფაქტიურად გაწეული ანალოგიური ხარჯების წლიური მოცულობის 1/12 ნაწილის ოდენობით.

გ) ყოველი მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე სააგენტოში წარმოადგინონ ინფორმაცია დამტკიცებული ბიზნეს-გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ განვლილი 6 თვის შედეგების მიხედვით. გეგმის შესრულების პროცესში მნიშვნელოვანი გადახრების გამოვლენის შემთხვევაში, წარმოადგინონ ახსნა-განმარტებები ამ გადახრების გამომწვევ მიზეზებზე და წინადადებები წარმოქმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე;

დ) საჭიროების შემთხვევაში სააგენტოში წარმოადგინონ კორექტირებული ბიზნეს-გეგმების პროექტები;

6. იმ შემთხვევაში თუ საწარმოს მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ბრძანებით მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს, სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი მასალები და განმარტებები, ან დაუბრუნოს ბიზნეს-გეგმის პროექტი საწარმოს გადასამუშავებლად.


7. საწარმოს ბიზნეს-გეგმის პროექტი დამტკიცდეს სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით.

8. წინამდებარე ბრძანების გამოცემისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს სააგენტოს: „ სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი

მონაწილეობით არსებული საწარმოების მიერ წლიური ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის შესახებ” 2013 წლის 13 თებერვლის N1/1-59 და „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ბიზნეს-გეგმების პროექტების შემუშავების, სააგენტოში წარმოდგენის, განხილვის, დამტკიცებისა და მონიტორინგის შესახებ” N1/1-60 ბრძანებები.

9. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე



დიმიტრი ქუმსიშვილი